ხელშეკრულება №35030204/8
(სახელმწიფო შესყიდვების შესახებ)

ქ. თბილისი 2 აპრილი 2012 წელი

ერთის მხრივ, სსიპ „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“ (შემდგომში „შემსყიდველი“), მისი გენერალური დირექტორის ნატო ავალიანის სახით და მეორეს მხრივ, შპს აკად. ო. ღუდუშაურის სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრი (შემდგომში „მიმწოდებელი“) მისი დირექტორის ოთარ ნოგაიძის სახით, აფორმებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საფუძველი

1.1 „2012 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის №92 დადგენილება.

1.2 „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის "დ" ქვეპუნქტი.

1.3 „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანება.

1.4 2012 წლის 2 აპრილის საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილის პაპუნა პეტრიაშვილის N04-02/23346 წერილი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 „2012 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის №92 დადგენილების შესაბამისად, „უსაფრთხო სისხლის“ პროგრამის ფარგლებში ქვეყნის მასშტაბით „დონორული სისხლის სკრინინგული გამოკვლევა“ (ღონისძიების) მომსახურების შესყიდვა (CPV85100000).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებელი მომსახურეობის ერთეულის ღირებულებაა 22,00 (ოცდაორი) ლარი.

3.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 31963 (ოცდათერთმეტი ათას ცხრაასსამოცდასამი) ლარს, მ.შ. 2012 წლის დეკემბრის თვის ღირებულებაა 3429 (სამი ათას ოთხასოცდაცხრა), რომელიც ანაზღაურდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტი

4.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია (შემდგომში „მომსახურება“): „უსაფრთხო სისხლის“ პროგრამის ფარგლებში ტრანსფუზიით გადამდები ინფექციების პრევენციის მიზნით 1453 (მ. შ. 2012 წლის დეკემბრის თვეში - 156) დონორული სისხლის სკრინინგული გამოკვლევა B და C ჰეპატიტზე, აივ-ინფექცია/შიდსზე და ათაშანგზე (კოდი 0204)

5. ხელშეკრულების ფარგლებში გასაწევი მომსახურეობა

5.1 ხელშეკრულების ფარგლებში "მიმწოდებელმა" უნდა განახორციელოს შემდეგი მომსახურეობა:

5.1.1 დონაციათა 100% B და C ჰეპატიტებსა და აივ-ინფექცია/შიდსზე ტესტირება EIA მეთოდით. (სწრაფი მარტივი ტესტების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ (გამონაკლის) არგუმენტირებულ ურგენტულ შემთხვევებში);

5.1.2 ათაშანგზე ტესტირება დონაციათა 100 %-ში ჰემაგლუტინაციის მეთოდით (TPHA) ან სწრაფი მარტივი ტესტების (RPR) მეთოდით;
5.2 ხელშეკრულებების გაფორმება ჰოსპიტალურ დაწესებულებებთან სისხლისა და სისხლის პროდუქტებით უზრუნველყოფის თაობაზე.
5.3 დონაციების რეგულარული აღრიცხვა სისხლის დონორთა ერთიან მონაცემთა ბაზაში.
5.4. გამოკვლეული სისხლის შრატების შენახვა სპეციალური რეჟიმის დაცვით ორი ალიკვოტის სახით ორი წლის განმავლობაში, რათა საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იყოს „შემსყიდველის" მიერ საკონტროლო ლაბორატორიული კვლევის ჩატარება.
5.5 აივ-ინფექცია/შიდსზე სკრინინგული ტესტით დადებითი შემთხვევების დროს გამოსაკვლევი მასალის ტრანსპორტირება „ცივი ჯაჭვის" პრინციპის დაცვით „შემსყიდველთან" კონფირმაციული ტესტის ჩასატარებლად.
5.6 ყოველი კვირის ბოლოს იმუნოფერმენტულ ანალიზატორზე შესრულებული სამუშაოს ამონაბეჭდის წარმოდგენა, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას: ტესტის დასახელება და გენერაცია, რეაქტივის მწარმოებელი და ლოტი, ვარგისიანობის ვადა, უარყოფითი და დადებითი კონტროლების რაოდენობა, cut – off ფორმულა, გამოყენების შემთხვევაში Gray zona, გამოკვლეულ დონორთა შედეგები, გამოკვლეულ დონორთა სია (გვარი, სახელი, დონორის უნიკალური კოდი, ბაზაში რეგისტრაციის ნომერი) შესრულებული სამუშაოს თანმიმდევრობით.
5.7 საანგარიშო წლის ბოლოსათვის უანგარო დონაციათა 10%-იანი მაჩვენებლის უზრუნველყოფა.

6. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

6.1 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
6.2 „მომსახურების" უხარისხობის შემთხვევაში „შემსყიდველი" წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს" წუნდების მიზეზების მითითებით. „მიმწოდებელი" საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტის ნაკლის აღმოფხვრას „შემსყიდველის" ინტერესების გათვალისწინებით.

7. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი, ფორმა და ვადები

7.1 „მომსახურების" გაწევის ვადაა 2012 წლის 2 აპრილიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
7.2 „მომსახურების" მიწოდების ადგილი - თბილისი, მ. ასათიანის ქ. №9, სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.
7.3 მიწოდების ფორმა - „მომსახურების" ღონისძიებათა შესრულება ხელშეკრულებაზე თანდართული ფორმებით.
7.4 „მომსახურების" მიწოდების ვადა - ყოველთვიურად, მომდევნო თვის 10 რიცხვამდე.

8. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

8.1 „მიმწოდებელი" ყოველთვიურად წარმოადგენს ანგარიშს ნაბეჭდი და ელექტრონული (Sylfaen) სახით მის მიერ საანგარიშო თვეში გაწეული „მომსახურების" შესახებ, შეთანხმებული ფორმებით (ანგარიშ-ფაქტურა, ფორმა 1, ფორმა 2, ფორმა 3), რომლებიც ხელშეკრულებას თან ერთვის.
8.2 „მიმწოდებელი" ხელშეკრულების პუნქტი 5-ის 5.4 და 5.5 ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინფორმაციას საჭიროების შემთხვევაში წარმოადგენს ხელშეკრულებაზე თანდართული ფორმების შესაბამისად.
8.3 „მიმწოდებელი" „შემსყიდველის" მოთხოვნის შესაბამისად წარმოადგენს სრულ წერილობით ინფორმაციას „მომსახურების" მიმდინარეობის შესახებ.
8.4 ანგარიშგების ფორმებში ცვლილებების შეტანა დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შეიქმნება ობიექტური საჭიროება ანგარიშგების გაუმჯობესების მიზნით, ან სახელმწიფოს მიერ დადგენილი წესით.
8.5 „მიმწოდებელი" სრულად აგებს პასუხს მის მიერ მიწოდებული ანგარიშების უტყუარობაზე. „მიმწოდებელი" ადგილზე ინახავს ანგარიშებს და პირველად დოკუმენტაციას დადგენილი წესის შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში გაცნობისათვის პირველივე მოთხოვნისთანავე წარუდგენს „შემსყიდველს".

8.6 არასწორად, არასრულად ან არაკორექტულად წარმოდგენილი ანგარიშსწორების ფორმა უბრუნდება „მიმწოდებელს“ მის საბოლოო შესწორებამდე, ამასთან შედეგებზე იგი პერსონალურად აგებს პასუხს.
8.7 „შემსყიდველისა“ და „მიმწოდებელს“ შორის მომსახურეობის შესრულებაზე ყოველთვიურად განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის (ფორმა 3) გაფორმება.
8.8 "შემსყიდველი" უფლებამოსილია ვადაგადაცილებით წარდგენილი დოკუმენტაცია განიხილოს შემდეგი თვის დოკუმენტაციასთან ერთად დადგენილი წესით. ამასთან, ვადაგადაცილებით წარდგენილი დოკუმენტები არ განიხილება, თუ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით გაწეული მომსახურების დასრულებიდან გასულია 3 საანგარიშგებო თვეზე მეტი.
8.9 „შემსყიდველი“ ითვალისწინებს, რომ „მიმწოდებლისათვის“ სრულადაა ცნობილი დასახული ამოცანები და მათ შესასრულებლად გამოსაყენებელი ნორმატიული დოკუმენტაცია.

9. ანგარიშსწორების წესი, ფორმა და ვადები

9.1 ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო ანგარიშსწორება.
9.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.
9.3 ანაზღაურება განხორციელდება მე-3 და მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების ფაქტიურად გაწეული მომსახურების კოდისა და ერთეულის ფასის მიხედვით.
9.4 ანაზღაურება მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და ყოველთვიური მიღება-ჩაბარების აქტის (ფორმა 3) ხელმოწერის შემდეგ ოცდაათი დღის განმავლობაში, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი პროცედურის დაცვით.

10. მხარეთა უფლება-მოვალეობები

10.1 „შემსყიდველი“ ვალდებულია:
10.1.1. აცნობოს „მიმწოდებელს“ ყველა მომხდარ ცვლილებათა შესახებ, რომელიც პირდაპირ ან ირიბად შეიძლება ეხებოდეს ხელშეკრულების პირობებს.
10.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
10.2.1 მიაწოდოს „შემსყიდველს“ „მომსახურება“, რომელიც სრულად შეესაბამება ხარისხით და სხვა ყველა მონაცემებით „შემსყიდველის“ დაკვეთას.
10.2.2 აცნობოს „შემსყიდველს“ ყველა იმ ცვლილებათა შესახებ, რაც პირდაპირ ან ირიბად ეხება ხელშეკრულებას.
10.2.3 დროულად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულებანი.

10.3 „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:
10.3.1 მოითხოვოს „მიმწოდებლისაგან“ ხელშეკრულების ყველა პუქნტის უცილობელი შესრულება.
10.3.2 უარი განაცხადოს ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებელი“ დაარღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს ან მის წინაშე დადგენა დაუძლეველი ძალა.
10.3.3 არ სცნოს „მიმწოდებლის“ არცერთი ვალდებულება, რომელიც არაა განსაზღვრული ამ ხელშეკრულებით.
10.4 „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:
10.4.1 მოითხოვოს „შემსყიდველისაგან“ მის მიერ მიწოდებული „მომსახურების“ ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობით.
10.4.2 განაცხადოს უარი ხელშეკრულების შესრულებაზე ან მის გაგრძელებაზე, თუ „შემსყიდველის“ მიერ სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის გამო მისთვის შეუძლებელი ხდება „მომსახურების“ მიწოდება ან მის წინაშე დადგა დაუძლეველი ძალა.
10.4.3 აწარმოოს მოლაპარაკება „შემსყიდველთან“ სახელშეკრულებო პირობებში კანონით დაშვებული ცვლილებების შეტანისათვის.
10.4.4 მიმართოს სასამართლოს ან სხვა ორგანოებს „შემსყიდველის“ მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო.
10.4.5 მოითხოვოს „შემსყიდველისაგან“ რეალური ზარალის ანაზღაურება, რაც გამოიწვია მისი მხრიდან ამ ხელშეკრულების პირობების დარღვევამ.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 ხელშეკრულების პირობების ცალმხრივი შეუსრულებლობა მხარეთა შორის დადებული შეთანხმების გარეშე, განურჩევლად მისი ობიექტური მიზეზისა გამოიწვევს საჯარიმო სანქციებს.

11.2 ხელშეკრულების მთლიანი ან ნაწილობრივი შეწყვეტა მხარეთა მიერ წერილობით შეტყობინების გარეშე და ამ შეტყობინებაზე წერილობითი პასუხის მიღების გარეშე დაუშვებელია.

11.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.4 „შემსყიდველს" შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, „მიმწოდებლისათვის" ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

11.4.1 თუ „მიმწოდებელს" ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან „შემსყიდველის" მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს „მომსახურება".

11.4.2 თუ „მიმწოდებელს" არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება, რომელიც ცვლის პირობებს, რის გამოც ვერ განხორციელდება „მომსახურების" მიწოდება სრულად ან დადგენილ ვადებში.

11.5 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიწმოდებელს" დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.6 „შემსყიდველს" შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ:

11.6.1 თუ ხელშეკრულების შესრულების გაგრძელება მიზანშეუწონელია „შემსყიდველის" ფინანსური ინტერესებიდან გამომდინარე.

11.6.2 თუ „შემსყიდველისათვის" ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

11.6.3 „მიმწოდებლის" გაკოტრების შემთხვევაში.

11.7 საჯარიმო სანქციები რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, „2012 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის №92 დადგენილებით და სხვა მოქმედი კანონმდებლობით.

12. დაუძლეველი ძალის მოქმედება

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის დაუძლეველ გარემოებათა შედეგი.

12.2 ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალა" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა" და/ან „მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან და მას გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შიეძლება გამოწვეული იქნას საბრძოლო მოქმედებებით, წყალდიდობით, ეპიდემიით, კარანტინით, და სხვა მასთან გათანაბრებული მოვლენებით. რომელსაც ცნობენ მხარეები.

12.3 დაუძლეველი გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება აღწერილობით გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობათა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან დაუძლეველი გარემოებების ზეგავლენისაგან.

12.4 დაუძლეველი ძალის არსებობა, უკიდურეს შემთხვევათა გარდა, უნდა იყოს დადასტურებული ოფიციალური ორგანოების მიერ, პრესის ან სხვა მხარეებისათვის მისაღები ფორმით.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1 „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ უნდა იხმაროს ყველა ღონე, რათა მათ შორის, ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ, მოაგვარონ მოლაპარაკების წესით.

13.2 თუ „შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ ვერ შეძლებენ სადაო საკითხის მოგვარებას მოლაპარაკების გამართვის შემდეგ, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს, რის შესახებაც იგი წინასწარ აცნობებს მეორე მხარეს.

14. გამოსაყენებელი სამართალი

14.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

15. ხელშეკრულების ენა

15.1 ხელშეკრულების ენაა ქართული. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის უნდა შეესაბამებოდეს სახელშეკრულებო პირობებს.

16. ურთიერთობა მხარეებს შორის

16.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

16.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

17. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

17.1 მხარეები სრულად იღებენ პასუხისმგებლობას ხელშეკრულების სრული და უპირობო შესრულებისათვის.

17.2 ამასთან მხარეები სრულად იღებენ პასუხისმგებლობას მოახდინონ მიყენებული რეალური ზარალის ანაზღაურება, რომელსაც ექნება შესაბამისი დადასტურება.

17.3 „მიმწოდებელის“ პასუხისმგებლობა, ხელშეკრულების პირობათა დარღვევის შემთხვევაში, ვრცელდება არა მარტო მისაწოდებელი „მომსახურების“ ფარგლებში, არამედ „შემსყიდველისათვის“ იმ დანახარჯების ანაზღაურებით, რაც აუცილებელი იქნება მის მიერ სახელმწიფო პროგრამის აუცილებელი შესრულებისათვის.

18. ხელშეკრულების სხვა პირობები

18.1 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ხდება მხოლოდ მხარეების მიერ წერილობითი შესწორებით და ფორმდება ხელშეკრულების დანამატის სახით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

18.2 „მიმწოდებელს“ არ აქვს უფლება „შემსყიდველის“ წერილობითი თანხმობის გარეშე მოახდინოს მესამე პირისათვის უფლებების გადაცემა.

18.3 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით და კანონქვემდებარე აქტებით განსაზღვრული შემთხვევებისა.

18.4 ხელშეკრულების შესრულების შეფერხების შემთხვევაში მხარეები დაუყოვნებლივ წერილობით ატყობინებენ ერთმანეთს და ღებულობენ ერთობლივ გადაწყვეტილებას.

19. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

19.1 „მიმწოდებლის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და შესაბამისად „მომსახურების“ მიზნობრივად გატარების შესახებ „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:

19.1.1 უშუალოდ განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი, რომელიც შეეხება ყოველთვიური „მომსახურების“ პერიოდს (ან „მომსახურების“ დასრულებულ ციკლს).

19.1.2 არ აანაზღაუროს ხელშეკრულების შესრულების კონტროლის შედეგად არაკორექტულად მიჩნეული გაწეული „მომსახურების“ ხარჯები მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში.

19.2 განახორციელოს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შედარება „მიმწოდებლის“ მიერ შეტყობინებისას დაფიქსირებულ მონაცემებთან და შემთხვევების შერჩევითი შემოწმების შედეგებთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

19.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლის ვადაა საანგარიშგებო დოკუმენტაციის წარდგენიდან არაუმეტეს 22 სამუშაო დღე.

20. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

20.1 ხელშეკრულება შედის ძალაში მხარეთა მიერ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის თარიღიდან.

20.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2013 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

20.3 ურთიერთობა მხარეებს შორის წყდება მხარეების მიერ ყველა ვალდებულებათა შესრულებისა და დებიტორულ-კრედიტორულ დავალიანებათა დაფარვის შემდგომ.

21. განსაკუთრებული შენიშვნები

21.1 ხელშეკრულება დგება სამ თანაბარძალოვან ეგზემპლიარად, საიდანაც ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა „მიმწოდებელს“, ხოლო ორი ეგზემპლარი ინახება „შემსყიდველთან“.

22. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	*„მიმწოდებელი“*
სსიპ „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“	დაწესებულების დასახელება: უკს აკად. ო.გულუაშვილის ეროვნული სამედიცინო ცენტრი
მ. ასათიანის ქ. 9	მისამართი: თბილისი, ლუბლიანის 18/20
საიდენტიფიკაციო კოდი 211324351	საბანკო რეკვიზიტები:
ქ. თბილისი, სახელმწიფო ხაზინა	ბანკის დასახელება: სს „თიბისი ბანკის“ საბურთალოს ფილიალი
ბ/კ 220101222 ა/ა 200122900	ბ/კ TBCBGE 22
	ს/კ 202193544
	ა/ა GE97 TB79 9863 6080 1676 31
	დირექტორი: იოსებ ბრეგვაძე
ნატო ავალიანი	
ბ.ა.	ბ.ა.
ვიზა: კ. ოჩიგავა	
დ. მღებრიშვილი	
ო. ნამიჭეიშვილი	
ხ. ფირანიშვილი	

ფორმა N1

რეგისტრაციის #_____ თარიღი_____

ინფორმაცია გაწეული მომსახურების ხარჯის შესახებ

ანგარიშგების პერიოდი 2012 წლის _____ თვე

დაწესებულების დასახელება _____

პროგრამა (კომპონენტი) _____

ხელშეკრულების N _____ თარიღი_____

N	კოდი	კოდის დასახელება	შემთხვევათა რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	სულ ღირებულება
1	2	3	4	5	6
1	0204	დონაციის ღირებულება			
		სულ თანხა			

დაწესებულების ხელმძღვანელი ბ.ა.

მთ. ბუღალტერი

ფორმა N 2

რეგისტრაციის #_____ თარიღი_____

ინფორმაცია გაწეული მომსახურების შესახებ

ანგარიშგების პერიოდი 2012 წლის _____ თვე

დაწესებულების დასახელება _____

პროგრამა (კომპონენტი) _____

ხელშეკრულების N _____ თარიღი_____

N	დონორის კოდი			დონორის უნიკალური ნომერი მონაცემთა ერთიანი ბაზიდან	სულ დონაციების რაოდენობა	გამოკვლევის ჩატარების თარიღი	დონორის სახელი, გვარი	დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	პირადი N	HIV სკრინინგით დადებითი/ საეჭვო	HCV სკრინინგით დადებითი/ საეჭვო	HBsAg სკრინინგით დადებითი/ საეჭვო	სიფილისი სკრინინგით დადებითი/ საეჭვო
1	უანგარო	ნათესავი	კადრი										
2													
3													
4													
5													
6													
7													
8													
9													
10													
11													
12													
13													
14													
15													
16													
17													
18													
19													
20													

დაწესებულების ხელმძღვანელი:

მთ. ბუღალტერ:

ბ.ა.

ფორმა N 3

ა ქ ტ ი N

შესრულებული სამუშაოების ყოველთვიური პირველადი მიღება-ჩაბარების აქტი

_____

სამედიცინო დაწესებულების მიერ 2012 წლის _____ გაწეულ სამედიცინო მომსახურებაზე

პროგრამა (კომპონენტი) _____

ხელშეკრულების N _____ თარიღი_____

#	ანგარიშ-ფაქტურის # და თარიღი		წარმოდგენილი სამუშაოს ღირებულება	ექვემდებარება შემცირებას		ექვემდებარება ფულადი სახსრებით ანაზღაურებას
				ლიმიტს ზემოთ თანხა	სხვა მიზეზებით დარღვევების გამო	
1	2	3	4	5	6	7

ჩააბარა

_____

_____

დაწესებულების დასახელება

_____

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა

მიიღო

ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

_____

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ,ა

ანგარიშგების პერიოდი 2012 წლის _____ თვე

ხარისხის კონტროლის ფორმა

დაწესებულების დასახელება _____

პროგრამა (კომპონენტი) _____

ხელშეკრულების N _____ თარიღი_____

N	დონორის კოდი			დონორის უნიკალური ნომერი მონაცემთა ერთიანი ბაზიდან	სულ დონაციების რაოდენობა	გამოკვლევის ჩატარების თარიღი	დონორის სახელი, გვარი	დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	პირადი N	HIV სერინინგით დადებითი/ საეჭვო	ხარისხის კონტროლის კვლევის შედეგი	HCV სერინინგით დადებითი/ საეჭვო	ხარისხის კონტროლის კვლევის შედეგი	HBsAg სერინინგით დადებითი/ საეჭვო	ხარისხის კონტროლის კვლევის შედეგი	სიფილისი სერინინგით დადებითი/ საეჭვო	ხარისხის კონტროლის კვლევის ჩატარების თარიღი
1	უანგარო	ნათესავი	კადრი														

შემთხვევის ლაბორატორიული კვლევის მოთხოვნის ფორმა (H-ინდივიდ.)

ნაწილი A *(ივსება დამკვეთ დაწესებულებაში; „ველზე")* შევსების თარიღი _ _/_ _/ _ _ _ _

გამოკვლევის დამკვეთი იურიდიული/ფიზიკური პირი _____ ტელ: _____

პაციენტის სახელი, გვარი _____ ასაკი _ _ ☐ მამრ. ☐ მდედრ.

პაციენტის პირადი ნომერი ან/და საიდენტიფიკაციო კოდი (15-ნიშნა) _

(ივსება, თუ სინჯი აღებულია სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში)

პაციენტის მისამართი _____ პაციენტის ტელ:. _____

წინასწარი კლინიკური დიაგნოზი _____

(თუ სინჯი აღებულია კონტაქტირებული პირისგან, მიუთითეთ)

სიმპტომების გამოვლენის თარიღი: ☐ *ცხელება* _ _/_ _/ _ _ _ _ ☐ *დიარეა* _ _/_ _/ _ _ _ _ ☐ გამონაყარი _ _/_ _/ _ _ _ _

☐ სხვა _____ _ _/_ _/ _ _ _ _

მასალის აღების ადგილი _____ მასალის აღების თარიღი _ _/_ _/ _ _ _ _ დრო _ _:_ _

(გაწყოვილება, „ველი" და სხვ.)

საკვლევი მასალა[1]: ☐ სისხლი ☐ სინოვიალური სითხე ☐ პირნაღები მასა

☐ ლიქვორი ☐ შარდი ☐ დაზიანებული/ნეკროზული ქსოვილი

☐ ასციტური სითხე ☐ ფეკალური მასები ☐ ნაცხი(მიუთითეთ)_____

☐ პლევრალური სითხე ☐ წახველი ☐ სხვა _____

მოთხოვნილი გამოკვლევა[2]: ☐ ბაქტერიოლოგიური კულტურა_____ ☐ სეროლოგიური_____

☐ *B.anthracis* კულტურა ☐ *Y.pestis* კულტურა ☐ მოლეკულური დიაგნოსტიკა_____

☐ *F.tularensis* კულტურა ☐ *Brucella*-ს კულტურა ☐ სხვა _____

მასალის გამომკვლევი დაწესებულება[3]: ☐ დკსჯეც (NCDC&PH)-ის თბილისის ლაბორატორია

☐ დკსჯეც (NCDC&PH)-ის ქუთაისის ლაბორატორია

☐ დკსჯეც (NCDC&PH)-ის ბათუმის ლაბორატორია

☐ დკსჯეც (NCDC&PH)-ის _____ რეგიონული ცენტრის ლაბორატორია

☐ სხვა _____

ფორმის შევსებაზე პასუხისმგებელი პირი _____

(ეპიდემიოლოგი, ექიმი)

ნაწილი B *(ივსება გამომკვლევი დაწესებულების ცენტრალურ მიმღებში)* შევსების თარიღი _ _/_ _/ _ _ _ _ დრო _ _:_ _

მიმღების სარეგისტრაციო № _____

ნიმუშის შეფუთვის და შენახვის პირობები: ☐ სტანდარტული ☐ არასტანდარტული

ნიმუშის მიღების თარიღი: _ _/_ _/ _ _ _ _ დრო _ _:_ _

ნიმუში გადაეცა: _____

(სახელი, გვარი, თანამდებობა)

რეგისტრატორი: _____

(სახელი, გვარი)

ნაწილი C *(ივსება გამომკვლევი დაწესებულების ლაბორატორიაში)* შევსების თარიღი _ _/_ _/ _ _ _ _ დრო _ _:_ _

ნიმუშის საიდენტიფიკაციო № _____

ნიმუშის მიღების თარიღი: _ _/_ _/ _ _ _ _ დრო _ _:_ _

ნიმუშის მიმღები პირი: _____

(სახელი, გვარი, თანამდებობა)

[1] *ნიმუშის აღების, შენახვის და ტრანსპორტირების სტანდარტული პროცედურები იხ. უკანა გვერდზე*

[2] *ლაბორიტორიულ გამოკვლევას დაქვემდებარებული ნოზოლოგიების ჩამონათვალი იხ. უკანა გვერდზე*

[3] *გამომკვლევი დაწესებულებების მისამართები იხ. უკანა გვერდზე*

[1] *ნიმუშის აღების, შენახვის და ტრანსპორტირების სტანდარტული პროცედურები :* ბაქტერიოლოგიური კვლევისთვის ყველა ტიპის ნიმუშის აღება უმჯობესია ანტიბაქტერიული თერაპიის დაწყებამდე, ასეპტიკის წესების დაცვით, და გადაგზავნა ლაბორატორიაში გამოსაკვლევად სტერილურ ჭურჭელში სატრანსპორტო კონტეინერით. თუ შეუძლებელია ნიმუშის დროული გადაგზავნა ლაბორატორიაში, რეკომენდირებულია კონსერვანტების შემცველი სატრანსპორტო ნიადაგების გამოყენება

- **სისხლი** -ვენიდან სისხლი იღება მოზარდებისაგან 5-10მლ-ის, ხოლო ბავშვებიდან 3-5მლ-ის რაოდენობით. სისხლი იღება 2 სპეციალურ საკვები ნიდაგის შემცველ ფლაკონში აერობული და ანაერობული ბაქტერიებისთვის. აღებული ნიმუშები გამოკვლევამდე ინახება ოთახის ტემპერატურაზე.
- **ლიქვორი** -ნიმუში იღება სამ ულუფად სტერილურ სინჯარებში, ლაბორატორიაში გამოსაკვლევად იგზავნება მე-2 ულუფა მაქსიმუმ 1-2 სთ განმავლობაში.
- **ასციტური, პლევრალური და სინოვიალური სითხეები** - იღება 1 მლ-ის რაოდენობით სტერილურ ჭურჭელში და დაუყოვნებლივ იგზავნება ლაბორატორიაში.
- **შარდი** -ნიმუში იღება 10-15მლ-ის ოდენობით შარდის შუა ულუფიდან, გენიტალიების სათანადო ტუალეტის შემდეგ. იგზავნება ლაბორატორიაში მაქსიმუმ 1 სთ განმავლობაში. თუ შეუძლებელია ნიმუშის დროული გადაგზავნა ლაბორატორიაში, დასაშვებია მისი შენახვა +4 -ზე რამდენიმე საათი.
- **ფეკალური მასები** -ნიმუში იღება სტერილური ხის ან მინის წკირით, ფეკალური მასის სხვადასხვა უბნებიდან მინიმუმ 5-10გრ. ოდენობით და იგზავნება ლაბორატორიაში მაქსიმუმ 1-2 სთ განმავლობაში.
- **ნახველი** -ნიმუში იღება უზმოზე და იგზავნება ლაბორატორიაში მაქსიმუმ 1-2 სთ განმავლობაში.
- **პირნაღები მასა** - მინიმუმ 10გრ. თავსდება სტერილურ ჭურჭელში და იგზავნება ლაბორატორიაში დაუყოვნებლივ.
- **დაზიანებული / ნეკროზული ქსოვილი** - იღება დაზიანების ადგილიდან 1X1 სმ² ზომის ქსოვილი და იგზავნება ლაბორატორიაში დაუყოვნებლივ.
- **ნაცხი** - <u>თვალის ნაცხი</u> - იღება ქვედა ქუთუთოს შიგნითა ზედაპირიდან თვალის ფოსოს შიდა კუთხისაკენ მოძრაობით, ტამპონი არ ეხება წამწამებს.
  <u>ყურის ნაცხი</u> -გარეთა ყურის 70% სპირტით და ფიზიოლოგიური ხსნარით დაზიანებული კერის დამუშავების შემდეგ ნიმუში იღება სტერილური ტამპონით.
  შუა და შიგნითა ყურიდან - ნიმუში იღება პუნქციით ან ოპერაციული ჩარევისას სტერილური ტამპონით.
  <u>ნაცხი მამაკაცის გენიტალიებიდან</u> - ურეთრიდან ნიმუში იღება 4-5 სთ-ის მოუშარდავ მდგომარეობაში, ფოლკმანის კოვზით ან სპეციალური ტამპონით. ხოლო სათესლე ჯირკვლის ეკულატი, სათესლე ჯირკვლის დანამატის პუნქტატი ან წინამდებარე ჯირკვლის სეკრეტი იღება სპეციალური პროცედურით.
  <u>ნაცხი ქალის გენიტალიებიდან</u> - ნიმუში იღება ურეთრიდან, საშვილოსნოს ყელის არხიდან, საშოს პროქსიმალური მესამედიდან და უკანა თაღიდან ფოლკმანის კოვზით ან სპეციალური კოვზით. საშვილოსნოს დანამატების ანთებისას მასალა ინფექციის კერიდან იღება ოპერაციული ჩარევით ან პუნქციით.

[2] *ლაბორატორიულ გამოკვლევას დაქვემდებარებული ნოზოლოგიების და მდგომარეობების ჩამონათვალი:*

<u>ა) ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევას დაქვემდებარებული ნოზოლოგიები და მდგომარეობები</u> - დიფტერია; ქოლერა; მუცლის ტიფი; პარატიფები A,B,C; სხვა სალმონელოზები; შიგელოზები; ნაწლავთა სხვ. ბაქტერიული ინფექციები, მ.შ. ეშერიხიოზი და იერსინიოზი; ფსევდოტუბერკულოზი; კამპილობაქტერიული ინფექციები; ბაქტერიული საკვებისმიერი მოშხამვები, მ.შ. ბოტულიზმი; სავარაუდო ინფექციური წარმოშობის დიარეები; შავი ჭირი; ტულარემია; ჯილეხი; ბრუცელოზი; ერლიხიოზი; ლეპტოსპიროზი; ლისტერიოზი; მალარია; მენინგოკოკცემია; მენინგიტები გამოწვეული *N. meningitides, Haemophilus Infl.B, S.pheumoniae, M. tuberculosis;* სხვ.ბაქტერიული მენინგიტები; შებრუნებითი ტიფი; ლაიმის დაავადება (ბორელიოზი); ლეგიონელოზი; ბართონელოზი; საავადმყოფოსშიგა ინფექციები; ინფექციური დაავადებების ჯგუფური შემთხვევები.

<u>ბ) სეროლოგიურ გამოკვლევას დაქვემდებარებული ნოზოლოგიები</u> -ტკიპისმიერი ენცეფალიტი; ყირიმ-კონგოს ცხელება; ჰანტა ვირუსული ინფექცია; დასავლეთ ნილოსის ცხელება; ლაიმის დაავადება (ბორელიოზი); Q ცხელება; ენტეროვირუსული ინფექციები; როტავირუსული ინფექციები; წითელა; წითურა; ვირუსული ჰეპატიტები A,B,C; ქოლერა; მუცლის ტიფი; პარატიფები A,B,C; სხვა სალმონელოზები; შიგელიოზი; ეშერიხიოზი; ნაწლავთა იერსინიოზი; ფსევდოტუბერკულოზი; ბოტულიზმი; შავი ჭირი; ტულარემია; ჯილეხი; ბრუცელოზი; ლეპტოსპიროზი; მენინგოკოკცემია; მენინგიტები გამოწვეული *N. meningitidis, Haemophilus Infl.B, S.pheumoniae, M. tuberculosis;* სხვ.ბაქტერიული მენინგიტები; სტრეპტოკოკური ინფექციები (ანგინა, პნევმონია); ლეიშმანიოზი; ამებიაზი; ასკარიდოზი; აივ ინფექცია;

<u>გ) მოლეკულურ დიაგნოსტიკას დაქვემდებარებული ნოზოლოგიები</u> - დიფტერია; გრიპი; ტკიპისმიერი ენცეფალიტი; ყირიმ-კონგოს ცხელება; მალარია, შავი ჭირი; ტულარემია; ჯილეხი; ეშერიხიოზი; ლეიშმანიოზი; ქლამიდიოზი; ბართონელოზი; გონორეა.

შენიშვნა: ლაბორიტორიულ გამოკვლევას დაქვემდებარებული ნოზოლოგიების და მდგომარეობების ჩამონათვალი ექვემდებარება სისტემატიურ გადახედვას.

[3] *გამომკვლევი დაწესებულებების მისამართები:*

1. დკსჯეც (NCDC&PH)-ის თბილისის ლაბორატორია - ქ. თბილისი, მ. ასათიანის ქ #9
2. დკსჯეც (NCDC&PH)-ის ქუთაისის ლაბორატორია - ქ. ქუთაისი, ოცხელის ქ #2
3. დკსჯეც (NCDC&PH)-ის ბათუმის ლაბორატორია - ქ. ბათუმი, ქათამაძის ჩიხი #4
4. დკსჯეც (NCDC&PH)-ის თელავის რეგიონალური ცენტრის ლაბორატორია- ქ. თელავი, ალადაშვილის #2
5. დკსჯეც (NCDC&PH)-ის გორის რეგიონალური ცენტრის ლაბორატორია - ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილი #14
6. დკსჯეც (NCDC&PH)-ის ახალციხის რეგიონალური ცენტრის ლაბორატორია - ქ. ახალციხე, ახალქალაქის გზატკეცილი #6
7. დკსჯეც (NCDC&PH)-ის ამბროლაურის რეგიონალური ცენტრის ლაბორატორია- ქ. ამბროლაური, ბრატისლავა-რაჭის ქ. #11
8. დკსჯეც (NCDC&PH)-ის ზუგდიდის რეგიონალური ცენტრის ლაბორატორია - ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. #8
9. დკსჯეც (NCDC&PH)-ის ფოთის რეგიონალური ცენტრის ლაბორატორია - ქ. ფოთი, გურიის ქ. #6
10. დკსჯეც (NCDC&PH)-ის ოზურგეთის რეგიონალური ცენტრის ლაბორატორია - ქ. ოზურგეთი, თაყაიშვილის ქ. #3